# დრამატული აქტივობების გავლენა სილაღესა და ნარატიულ უნარებზე

**თამარ დეკანოიძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, ენისა და მეტყველების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.*

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

თანახელმძღვანელი: თამთა კუხალეიშვილი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2024**

# განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ დეკანოიძე, 2024 წელი

## აბსტრაქტი

კვლევების თანახმად, დრამატულ აქტივობებს დადებითი გავლენა აქვს ბავშვის განვითარებაზე. ეს კვლევა იკვლევს დრამატული აქტივობების კონკრეტულ გავლენას ბავშვების სილაღეზე, ნარატიულ უნარებსა და ენის განვითარებაზე. შესაბამისად, კვლევის მიზანია დაადგინოს, აძლიერებს თუ არა დრამატულ აქტივობებში მონაწილეობა ამ კონკრეტულ უნარებს.

კვლევაში მონაწილეობდა თეატრალურ წრეზე მოსიარულე ექვსი ბავშვი. ბავშვების სილაღის მაჩვენებელი, ნარატიული უნარები და ენობრივი უნარები შეფასდა პრე- და პოსტ-ტესტების მეშვეობით, თეატრალური წრის (დრამატული აქტივობების) ეფექტის შესაფასებლად.

კვლევაში გამოყენებული იქნა, სილაღის შკალა (PJPS), მულენის შკალა, ნარატივისთვის - მერსერ მეიერსის სურათებიანი წიგნი „სად ხარ ბაყაყო?“ და ორი, ბავშვებისთვის უცნობი მოთხრობა (პატრიკ მარია ბირშტაინის წიგნის „პატარა კლარა“ ორი თავი), რომლის წაკითხვის შემდეგაც კითხვებზე უნდა ეპასუხათ.

შედეგებმა ასეთ მცირე შერჩევაშიც კი აჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება პრე და პოსტ ტესტებს შორის. სილაღის ქულები გაიზარდა, ასევე გაუმჯობესდა ნარატიული უნარები და გაიზარდა როგორც რეცეპტული, ისე ექსპრესიულ ქულათა მაჩვენებელი.

შესაბამისად, სავარაუდოა, რომ დრამატული აქტივობები მძლავრი ინსტრუმენტია ბავშვთა განვითარების მხარდასაჭერად. ეს კვლევა ხაზს უსვამს დრამის ინტეგრირების მნიშვნელობას ადრეული განათლებისა და განვითარების სასწავლო პროგრამებში ჰოლისტური განვითარების ხელშესაწყობად.



საკვანძო სიტყვები: დრამატული აქტივობები, სილაღე, ნარატივი, ენის განვითარება.

# Abstract

According to studies, dramatic activities have a positive effect on child development. This study investigates the specific effects of drama activities on children's playfulness, narrative skills, and language development. The purpose of the study is to determine whether participation in dramatic activities enhances these specific skills.

The participants of the study were six children from a theater circle. The children's playfulness, narrative skills, and language skills were assessed through pre- and post-tests to evaluate the effect of the theater circle (drama activities).

In the research, I used the Playfulness Scale (PJPS), the Mullen Scale, and Mercer Mayer's picture book "Frog, Where Are You?" for narrative assessment. Additionally, two unfamiliar stories for the children (two chapters from the book "Little Clara" by Patrick Maria Birstein) were used. After reading the book, children were asked to answer questions.

The results, even in such a small sample, showed a statistically significant difference between the pre- and post-tests. Playfulness scores increased, narrative skills improved, and both receptive and expressive language scores increased. Therefore, it is likely that dramatic activities are a powerful tool to support children's development. This study highlights the importance of integrating drama into early education and intervention to promote holistic development.

Key words: dramatic activities, playfulness, narrative, language development.